



სოციალური



ბავშვთა ჯანდაცვის მედიცინა

№31
0360სი

ჩანასახიდან ბავშვის უზღვაა აქვს იყოს დასული

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის, ეპრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექსიის, და ბავშვთა ახალი კლინიკის გაზეთი 2012წ.

ყველანი ერთად ახალი კლინიკი, სტაბილური, თავისუფალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში!

გილტცაუთ მაშუთა დაცვის დღეს 1 იუნისს!



№1, 27.06.2008
20.12.2008
23.12.2008
01.06.2009
19.12.2009
01.06.2010
03.12.2010; 01.06.2011
23.12.2011

23.04.99 01.06.2000
„ბავშვთა კვება XXI საუკუნეში“ სიმპოზიუმი №1 №2

20.05.99 01.06.2000
„ორთოპედული სკოლა“ სიმპოზიუმი №1 №2

17.12.99 01.06.2001 6.11.2002 27.02.2003
„მუკოვსცილოზის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხები“
01.06.2000-2001-2002-2003-2004 22.12.2007

„ახალგაზრდა პედიატრთა XVIII-XXI კონფერენცია“
28.02.2001

„რესპირატორულ დაავადებათა თერაპიის აქტუალური საკითხები პედიატრიაში“
01.06.2001

„ბავშვი, მონარდი და ოჯახური ძალადობა“ სიმპოზიუმი №1
01.06.2001 30.05.2002 01.06.2003

„ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული“ სიმპოზიუმი №1 №2 №3
13.02.2002

„ადამიანის გენომის პროექტი“
10.03.2002

ახალგაზრდა მატონიზირებელი სასმელი „ლომისის“ პრეზენტაცია
5.11.2002 28.11.2002

ხსოვნის საღამო №1 №2 „პროფ. ი. კვაჭაძე, პროფ. გ. ჟვანია“
7.11.2002

„თანდაყოლილი ინფექციების თანამედროვე ასპექტები“
2.06.2008 - 01.06.2010

საქართველოს მედდათა I კონგრესი, II კონგრესი
25.XII.98

I კონფერენცია „ჩვენთან ერთად ირწმუნე უკეთესი მომავლის რეალობა“
01.VI.99-9.IX.2005

I-II სამართაშორისო კონფერენცია „ჯანმრთელი ბავშვი - მშვიდობიანი კავკასია“
25.XII.99

III კონფერენცია „დღევანდელი ეკონომიკური მიმართულებანი პედიატრიაში და მისი პერსპექტივა“
XXI საუკუნის პედიატრია - ინვალიდობის პროფილაქტიკის მედიცინად უნდა იქცეს



ბავშვთა უსათრთხოვმა მცნიერების გზით

01.VI.2000 01.06.2001
IV-V კონფერენცია „ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული“ მიძღვნილი ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი
27.III.2001

შენმეზრა სახალხო დამცემლის ოფისში „არასრულწლოვანი დამნაშავეები, მათი უფლებები და რეალობა“
30.05.2002

VI(XX) კონფერენცია „ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული“
04.09.2002

შეხვედრა „გლობალური მარშის“ წარმომადგენელ კაილაშ სატიარტთან
01.06.2001 06-07.11.2002 4.04.2003 22.12.2004 1.06.2005 27.12.2005

VII-VIII-IX-XI-XII-XIII-XIV სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „პედიატრიის აქტუალური საკითხები“
30.03.99 01.06.2000 01.06.2001 30.05.2002

„ბავშვთა მკურნალობა XXI საუკუნეში“ სიმპოზიუმი №1 №2 №3 №4 №5 №7 №8 №9
1.06.2003-1.06.2004

I-II ინტერნეტ-კონფერენცია (X-XI სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია)
19.12.2003 02.16.2008

საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის II-III კონფერენცია
22.12.2004; 1.06.2005; 1.01.2006; 22.02.2006; 7.12.2007;

2.06.2008; 20.12.2008; 1.06.2009; 1.06.2010; 09.12.2010; 01.06.2011; 23.12.2011

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის პედიატრიის აქტუალური საკითხები. XII-XIII-XV-XVI-XVII-XVIII-XIX-XX-XXVI საერთაშორისო კონფერენცია XXI-XXII-XXIII-XXIV-XXV-XXVI

ბავშვთა კარდიოლოგია IV სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია CHILDREN CARDIOLOGY IV SCIENTIFIC CONFERENCE

თბილისი 1-2.06.2012 TBILISI

(თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მის. ვაჟა-ფშაველას №29)

ეპრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექსიის საჭირო სხდომა

XXI საუკუნის პედიატრია-ინვალიდობის პროფილაქტიკის მედიცინად უნდა იქცეს

XXVII კონფერენცია

„ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული“ „ბავშვთა უსაფრთხოება მეცნიერების გზით“ „სოციალური პედაგოგია და ბავშვთა უსაფრთხოება“ (პრემ რელიზი)



ბავშვთა ახალი კლინიკის, გესტოზების შვილობილი სამედიცინო დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის, სამედიცინო-სოციალური მეცნიერების ინტერკონტინენტალური აკადემიის, საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის, საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ექიმთა ასოციაციის, საქართველოს მედიათა ასოციაციის, ალიანსი კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრება „მოძრაობა აფხაზეთისათვის“, საქართველოს ახალგაზრდა პედაგოგთა ლიგის, სრულიად საქართველოს ქალთა კონგრესის, ექიმთა უფლებების დაცვის ასოციაციის, საქართველოს სამედიცინო სპეციალისტების ასოციაციის, ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის, საქართველოს პედაგოგთა ასოციაციის, საქართველოს ბავშვთა ქირურგთა ასოციაციის, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრის, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის, საქართველოს



კონფერენციის თანამჯდომარეები: გიორგი ჩახუნაშვილი, ირაკლი ციციშვილი, ავთანდილ კვეზერელი-კობახიძე, ფარმან ფაღალავა, რამაზ კუტუბიძე. პლენარული სხდომების რეჟიმში ჩატარდა სამი სხდომა: კონფერენციის მიესალმა საქართველოს

ქალთა კონგრესის პრეზიდენტი, ქალბატონი ლია კიკნაძე, პროფესორი პაატა კერვალიშვილი (საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი), ვ.ცხომელიძე, თსუ სრული პროფესორი ფარამან ფარავა, ქუთაისის არასამთავრობო ორგანიზაციების სახელმძღვანელო მალაგიძე, სოფო მოროშკინა (UNICEF), ნინო მოროშკინა (მსოფლიო ბანკი) და სხვ.

სოციალური პედაგოგიის დაცვის ფონდის პრეზიდენტმა პროფესორმა გ. ჩახუნაშვილმა მადლიერების სიგელი გადასცა პროფესორ იური მუჩაიძის და ვაჟა გოგიშვილის ოჯახს; ხოლო ქების სიგელები ქ. თბილისის მერიის სამსახურის უფროსს - თორნიკე შიოლაშვილს და ა.შ.შ.-ში მივლინებაში მყოფ ვანო ცხომელიძეს. კონფერენციას ესწრებოდნენ სოციალური პედაგოგიის დაცვის ფონდის წარმომადგენლები, მოწვეული პედაგოგები დედაქალაქის





ერთა კლუბის სტრატეგია „მეორე პლენარული სხდომა მიეძღვნა უშუალოდ სპდ-ის XXVII კონფერენციას.“

კონფერენციაზე „სოციალური პედიატრია და ბავშვთა ჯანმრთელობა“ თავმჯდომარეობდნენ: პროფესორები: ი. ციციშვილი, გ. ჩახუნაშვილი, ავ. ვეზერელი-კობახიძე, ფაღავარ კუტუბიძე.

წარმოდგენილი იყო ლექციები და მოხსენებები:

1. „კარდიო-რემატოლოგიური დაავადებათა დროს არითმიებისა და მიტრალური სარქველის პროლაფსის დიაგნოსტიკური დირექტული ბავშვთა და მოზარდთა ასაკში“ გ. ჩახუნაშვილი, ნჯობაფა, მ. ინასარიძე, მ. შვანგირაძე (თბილისი)
2. „ხშირად მოვადე ბავშვები“ ნკველოვანი (თბილისი)
3. „ტელეკონია - მეცნიერება ქალწულობის შესახებ მჭიპაშვილი, ე.იმნაძე, ც.გიგინეიშვილი (თბილისი)
4. „ახალშობილთა ნეკროზული ენტეროკოლიტი“ ი. ფაველენიშვილი, თ. გოთუა (თბილისი)
5. „ცხოველები და მათ მიერ გამოწვეული დაავადებების გავრცელების თავისებურებანი სხვადასხვა ქვეყნებში“ ნ. ხვიტია, დ. ცხომელიძე, ბ. ჯანელიძე, ე. მჭედლიძე, დ. ჩახუნაშვილი (თბილისი), Avi Iakov (ისრაელი), amita Uma Dvarkanac (ინდოეთი), Ismail Abaiev (აზერბაიჯანი), ashan Neminba (შრი-ლანკა).
6. „ტამიფლუ – არ ჩვეის პრეპარატი პანდემიური და სეზონური გრიპის სამკურნალოდ“ კომპანია ჰოფმან-ლა როშის საქართველოს წარმომადგენლობის, ვირუსოლოგის ჯგუფის მენეჯერი მაკა ახათიანი
7. „ტრავმის მართვის გაიდლაინი ბავშვთა ასაკში“ მ. ჩხაიძე, ც. ფარულავა (თბილისი)

8. „მწვავე ბრონქოლიტის ეტიოლოგიისა და მკურნალობის თანამედროვე პრინციპები“ თ. ღონდაძე (თბილისი)

კონფერენციაზე გაიმართა აქტუალურ საკითხებზე კამათი, სადაც გამოხსენებებმა დააფიქსირეს თავიანთი პოზიციები.

ბოლოს მიღებული იქნა რეზოლუცია:

კიდევ ერთხელ პროექტის „საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივი ჩაბმის ერთიანი ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება“ მონაპოვარს - ჯანდაცვის, განათლებისა და სპორტის სამინისტროთა პროექტში ერთობლივი მონაწილეობის აუცილებლობის აღიარებისა და მისი განვითარების აუცილებელი ერთობლივი მხარდაჭერა.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები:

1. ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის 2012-2016 წლების სტრატეგიული გეგმა გადიოდეს მასში ახალგაზრდობის მეცნიერებაში ჩართვის მკვეთრი მატებისაკენ და დაევალოს ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის ახალგაზრდულ დეპარტმენტს მასზედ მეტად განახორციელოს აქტიური მუშაობა შემუშავებული გრძელვადიანი გეგმის მიხედვით.
2. შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი 2012 წლის ევრომეცნიერების ფორუმებში მონაწილეობისთვის, რომელსაც დაევალება მისი სრული ორგანიზება.
3. ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნულმა სექციამ ვეველა დონე იხმაროს, აცნობოს სამთაფრობო სტრუქტურებს და გააგრძელოს თავისი საორგანიზაციო საქმიანობა, რათა საქართველოში ჩატარდეს 2016 წლის ან 2018 წლის ევრომეცნიერების ფორუმი.
5. სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდმა და ბავშვთა კარ-

დიოლოგთა ასოციაციამ გააგრძელოს აქტიური მუშაობა მიღებულ რეზოლუციების შესაბამისად, ამასთან ერთად 2012 წლის 1 ვნისისათვის იზრუნოს ბავშვთა კარდიოლოგთა IV კონფერენციისა და ნოემბერ – დეკემბერში საქართველოს მედიათა III კონფერენციის ჩასატარებლად. ამ დღისადმი ორგანიზება გაუკეთდეს შესაბამისი ასოციაციების პერერეგისტრაციასა და რეგისტრაციებს.

6. არასამთავრობო ორგანიზაციების სამთავრობოსთან ერთად

ერთობლივად დააწესებული „ოქროს სტეტოსკოპისა“ და „ოქროს ლანცეტის“ ვარსკვლავის მფლობელი დასახელებს (თუ ასეთი კანდიდატურა შეირჩევა მსურველთაგან) შექმნილი კომისიის მიერ არაუგვიანეს 2012 წლის 1 ივნისისა.

P.S. აღსანიშნავია, რომ მეორე დღეს 24.XII.12. კონფერენციის ორგანიზატორების ინიციატივით ჩატარდა საქველმოქმედო კონსულტაციები, რომელიც ჩატარდა ბავშვთა ახალ კლინიკაში და გაისინჯა 200-მდე ბავშვი.



AVANTE-Hospital

მუღამ თქვენს სამსახურში - საქართველოში ერთადერთი ბავშვთა ენდოკრინოლოგიური სამსახური

„ბავშვთა ახალი კლინიკის“ ენდოკრინოლოგიური სამსახური საქართველოში არსებული პრაქტიკულად ერთადერთი სამედიცინო დაწესებულებაა, სადაც პატარა პაციენტებსა და მათ მშობლებს შესაძლებლობა აქვთ, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალისტების ხელშეწყობით ენდოკრინოლოგიური სამედიცინო დახმარება საავადმყოფოს პირობებში მიიღონ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „ბავშვთა ახალი კლინიკის“ ენდოკრინოლოგების მოღვაწეობა დიაბეტოლოგიის დარგში. საქართველოში ყველა ბავშვი, ასევე მოზარდი, შაქრიანი დიაბეტის (ინსულინდამოკიდებული) მკურნალობას, საგანგებო მკურნალობის კურსის სახით სწორედ „ბავშვთა ახალ



კლინიკაში“ გადის. ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტი ის გადაუდებელი მდგომარეობაა, რომლის მკურნალობის დაწყების დაგვიანების შემთხვევაში ბავშვის (თუ მოზარდის) ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე ემუქ

რება. თუ თქვენი შვილი წონაში იკლებს, ბევრს შარდავს და ბევრ სითხეს ითხოვს, ნუ გადადებთ ენდოკრინოლოგთან მისვლას.

განყოფილებაში მკურნალობის პროცესში, პაციენტის ნახშირწყლოვანი ცვლის მოწესრიგება და ინსულინით თერაპიის სათანადო რეჟიმის შერჩევა ხორციელდება. მკურნალობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ე.წ. „დიაბეტის სკოლაში“ მეცადინეობაცაა. ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტის მკურნალობა, პრაქტიკულად, შესაბამისი ცხოვრების წესის დანერგვასაც გულისხმობს. პაციენტი და მისი მკურნავები უნდა ერკვეოდნენ კვების რეჟიმის თავისებურებებში, გააზრებული ქონდეთ ფიზიკური დატვირთვის მნიშვნელობა, იცოდნენ ინსულინის დოზის შერჩევისა (და, სისხლში შაქრის შემცველობის მიხედვით შეცვლის!) პრინციპები, საზოგადოდ, ესმოდეთ ამ დაავადების მართვის პრინციპები. ამ ყველაფერს ისინი სწორედ „დიაბეტის სკოლაში“ სწავლობენ.

შაქრიანი დიაბეტის გარდა, „ბავშვთა ახალი კლინიკაში“, საჭიროების შემთხვევაში სხვა ენდოკრინული დაავადებების სტაციონარული მკურნალობაცაა შესაძლებელი. კლასიკური ენდოკრინული ავადმყოფობების გარდა,

ენდოკრინოლოგის კონსულტაცია და ჩარევა შეიძლება საჭირო გახდეს სხვა დაავადებების დროსაც. კლინიკის

დაც შესაძლებელი ხდება პაციენტებისათვის ოპტიმალური სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

აღსანიშნავია, ისიც, რომ მრავალი აუცილებელი გამოკვლევის გაკეთება კლინიკის ბაზაზე არსებულ ლაბორატორიაშია შესაძლებელი. იგი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილ, მძლავრ დიაგნოსტიკურ ლაბორატორიას წარმოადგენს საქართველოში.

„ბავშვთა ახალი კლინიკის“ ექიმი ენდოკრინოლოგი მზად არიან კონსულტაცია გაუწიონ ბავშვებსა და მოზარდებს ამბულატორიულად. სპეციალისტ ენდოკრინოლოგის ჩარევა კი არცთუ იშვიათად ხდება საჭირო საქართველოში, სამწუხაროდ, საკმაოდ გაგრძელებულია ისეთი პათოლოგიური მდგომარეობები, როგორცაა სიმსუქნე და ნახშირწყლოვანი



ცვლის დარღვევა (ინსულინორეზისტენტობა, დისლიპიდემია, მეტაბოლური სინდრომი); ფარისებრი ჯირკვლის გადიდება (ჩიყვი) და მისი ფუნქციის მოშლა; ტანდაბლობა და, საზოგადოდ, ფიზიკური ზრდა-განვითარების პათოლოგია; ნაადრევი, ან, პირიქით, დაგვიანებული სქესობრივი მომწიფება, ნაადრევი სქესობრივი მომწიფების იზოლირებული ფორმები; ჭარბთმანიალიზმი გოგონებში; ჰიპოფიზისა და თირკმელზედა ჯირკვლების პათოლოგია; კალციუმისა და სხვა ნივთიერებების ცვლის მოშლა; უშაქრო დიაბეტი; და სხვა მრავალი.

ენდოკრინოლოგები შესაბამის სამედიცინო მომსახურებას იმ პაციენტებსაც უწევენ, რომლებიც კლინიკის სხვა განყოფილებებში გადიან მკურნალობის კურსს. საავადმყოფოს პირობებში უზრუნველყოფილია მრავალი, შედარებით ვიწრო დარგის სპეციალისტების მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის ხარჯზე

0. შალავას სახელობის პედიატრიის ინსტიტუტი, რევატოლოგიისა და ალერგოლოგიის ცენტრი

თანამედროვე ალერგოლოგიის სფეროში თვალსაჩინო მიღწევათა მიუხედავად, ალერგიული დაავადებები დღემდე რჩება ჯანდაცვის სერიოზულ, გლობალურ პრობლემად, რასაც განაპირობებს ალერგიულ დაავადებათა მაღალი პრევალენტობა, კლინიკური მრავალფეროვნება, მიმდინარეობის სიმძიმე და ქრონიზაცია. ვარაუდობენ, რომ ალერგია აწუხებს თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს მოსახლეობის 35-50%-ს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პროგნოზით ალერგიულ დაავადებათა პრევალენტობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, განსაკუთრებით ბავშვთა პოპულაციაში.

ალერგია - ებთქის დაავადება

გავრცელების სიხშირე და ინტენსიობა ისეთი ატოპური დაავადებებისა, როგორცაა ბრონქული ასთმა, ატოპური დერმატიტი, ალერგიული რინოკონიუნქტივიტი და ურტიკარია სხვადასხვა ქვეყანაში ფართო ფარგლებში (1,8-42%) ვარიირებს. ალერგიულ დაავადებათა გავრცელების დიდი დიაპაზონი შეიძლება აიხსნას ისეთი მიზეზებით, როგორცაა რეგიონის კლიმატო-გეოგრაფიული პი-

რობები, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური და მედიკო-ბიოლოგიური მახასიათებლები და კვლევის განსხვავებული მეთოდების გამოყენება. უკანასკნელ პერიოდში იზრდება დაავადების სოციალური კომპონენტის მნიშვნელობა, რაც განისაზღვრება გარემოს დაბინძურებითა და ადამიანის ურბანიზაციული მოქმედებით, განსაკუთრებით კი დიქტაქტებით.

ატოპური დაავადებების მაღალი ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლები და მერყეობის დიდი ამპლიტუდა, მათი ადრეულ ასაკში ფორმირების სიხშირე და ფენოტიპური ექსპრესიის გენეტიკურ და გარემო ფაქტორთა სიუხვე დღის წესრიგში აყენებს ამ დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკის, პრევენციული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თერაპიული ღონისძიებების ინდივიდუალურ გამოყენებას სპეციალისტ ალერგოლოგის მიერ.

ექიმი, მედ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი ლია ქორქოლიანი

Management Group

**ქვემოთ ხაზით
განსაზღვრავთ -
საქართველოში
ონკოპათოლოგიურ
პაციენტთა სრული
სერვისით
უზრუნველსაყოფად**



მრთელეული პაციენტების რიცხვმაც მკვეთრად მოიმატა. მიუხედავად ამისა, პაციენტების გარკვეული ნაწილი სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციას საჭიროებს. რისთვისაც მათი უმეტე-



მ.იაშვილის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო

ტიკისა და მართვის სამომავლო პერსპექტივები იქნა განხილული. ამ კუთხით განსაკუთრებული აქცენტი ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის მნიშვნელობაზე გაკეთდა. პროექტის სრული მოცულობით ამოქმე-



პირველად საქართველოში, 18 აპრილს, „შერატონ მეტეხი პალასში“ მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ორგანიზებით ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიმართა. ეს პირველი სიმპოზიუმი, რომელიც საქართველოში ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის დანერგვას მიეძღვნა. სიმპოზიუმი საქართველოს პირველმა ლედომ განსწავლა და ამ პროექტის საქართველოში წამოწყების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

სი ნაწილი საზღვარგარეთ მკურნალობას საჭიროებს. დღეისათვის ქვეყანაში ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ცენტრის შექმნა უპირველესი ამოცანაა, რაც შესაძლებელს გახდის საქართველოში ონკოპათოლოგიური პროფილის პაციენტთა სამედიცინო სერვისის სრული სპექტრით განხორციელებას.



სიმპოზიუმზე, საქართველოში ბავშვთა ონკოპათოლოგიური დაავადებების დიაგნოს-

ტიკის შემდეგ საქართველო მთელი ამიერკავკასიის რეგიონის მასშტაბით ონკოპათოლოგიური პაციენტების მკურნალობაში უპირობო ლიდერი გახდება, რაც ერთი მხრივ, მინიმუმამდე შეამცირებს ქართველი პაციენტების საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაგზავნის აუცილებლობას, ხოლო მეორეს მხრივ ქვეყანაში სამედიცინო ტურიზმის გან-

ვითარებას შეუწყობს ხელს. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სპეციალურად მოწვეულმა პარტნიორებმა იტალიიდან, პაკისტანიდან და ინდოეთიდან. მოწვეული ექსპერტები ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის გამოცდილებას ქართველ ექიმებს უკვე უზიარებენ. ერთობლივი მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება. სწორედ მათთან თანამშრომლობით იგეგმება ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ცენტრის შექმნაც საქართველოში.

ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია რიგი ონკოლოგიური და პემატოლოგიური დაავადებების მკურნალობის უალტერნატივო მეთოდია, რომელიც დღეს-დღეობით საქართველოში, და არც კავკასიის სხვა ქვეყნებში, არ ხორციელდება. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში საქართველოში ბავშვთა ონკოპათოლოგიური დაავადებების მკურნალობისადმი მიდგომა რადიკალურად შეიცვალა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამოჯან-



ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის ძირითადი სტრატეგია ახალგაზრდობაზე გადის

შემუშავებულია ბრძანებებიანი გეგმა

2011 წლის 23 დეკემბერს ESGNS-ის კონფერენციაზე თბილისში წარმოდგენილი, შემუშავებული და დამტკიცებული იქნა რეზოლუციის სახით ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის ახალგაზრდული დეპარტამენტის (თავმჯდომარე მედიცინის დოქტორი დ. ჩახუნაშვილი) გრძელვადიანი გეგმა:



1. საქართველოში მეცნიერების პოპულარიზაცია:

1.1. თბილისის უდიდეს უნივერსიტეტებთან კავშირის გაყვანა

1.2. სამეცნიერო მუშაკებისათვის (35 წელს ქვემოთ) საკვლევი მასალების, ლიტერატურული და სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდა/გაადვილება.

1.3. სხვადასხვა პროფილის სამეცნიერო მუშაკების დაკომპლექტებით პროექტების გრანტზე.

1.4. საქართველოს უნივერსიტეტებთან ერთად სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება, რომელზეც ახალგაზრდა მეცნიერები წარადგინენ თავიანთ ნაშრომებს. ამ კონფერენციას უნდა ქონდეს კონკურსის სახეც.



2. უცხოურ ქვეყნებთან ურთიერთობა:

2.1. ქართული სამეცნიერო ნაშრომების უცხოურ, ავტორიტეტულ ჟურნალებში დაბეჭდვისთვის შეტანა. ქართული მეცნიერების პოპულარიზაცია მსოფლიო ასპარეზზე.

2.2. უცხო ქვეყნების ახალგაზრდა მეცნიერებთან ქართველი ახალგაზრდა მეცნიერების და-

კავშირება, ინფორმაციის გაცვლა.

2.3. საქართველოში 14 პუნქტის განხორციელების შემდეგ, ამავე ფორმატში უცხო ქვეყნების ჩართვა.

3. მეცნიერთა ახალ და ძველ თაობებს შორის არსებული პრობლემების გადაჭრის გზების მონახვა

3.1. ახალგაზრდა მეცნიერთა

კავშირის შექმნა, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდნენ სტუდენტები, ბაკალავრები, მაგისტრები, დოქტორანტი, ფილოსოფიის დოქტორები და პროფესორები.

3.2. მათ ერთმანეთში ინფორმაციის გაცვლა, პრობლემების გარჩევა და მათი გადაჭრის გზების მოძიება დაევალებათ.

3.3. ამ კავშირის დასკვნების და პრობლემების მიწოდება სხვადასხვა სამეცნიერო წრესა და ორგანიზაციაში.

მედ. დოქ. დ. ჩახუნაშვილი, პ. ჩახუნაშვილი (ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის ახალგაზრდული დეპარტამენტი)



ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის მედიცინისა და სპორტის მეცნიერების დეპარტამენტი აბრძენებს მუშაობას შემდეგი შემადგენლობით

სახელი, გვარი	მიმართულებები	სახელი, გვარი	მიმართულებები
დ.ფრუიძე, გ.ლობჯანიძე, ლ.გუჯაბიძე, დ.ზარნაძე, გ.კამკამიძე, მ.ბუჭაშვილი, ი.ზარნაძე, პ.იმნაძე, დ.ბაქრაძე	ჯანდაცვის ორგანიზაცია (პროფილაქტიკური მედიცინა და ჯანმრთელობის ხელშეწყობა)	რ.ჯააში	კლ.ფარმაკოლოგია
რ.შენგელია	მედიცინის ისტორია (ხალხური მედიცინა, საეკლესიო მედიცინა)	თ.ჩიქოვანი	იმუნოლოგია მოლეკულური ბიოლოგია
ნ.ემხვარი, კ.ჩახუნაშვილი (მოადგილე) ვ.გვანცელაძე, ზ.შაქარაშვილი	თერაპია	ზ.ხელაძე, ს.ჯაიანი, ნ.ღებანიძე, მ.ჩხეიძე, მ.ია ჩხეიძე	კრიტიკული მედიცინა
ნ.ლომიძე, რ.კუტუბიძე, რ.გაგუა, ს.გორდელაძე, დ.ჭავჭავაძე, გ.ჭაჭაია	ქირურგია	ზ. კაკაბაძე	ექსპერიმენტული მედიცინა
გ.ჩახუნაშვილი (თავმჯდ.) ყ.ფაღავე, ქ.ნემსაძე, ი.ფაველენიშვილი, ი.ციციშვილი, ა.კვეციანი-კოპაძე, ვ.ჩხეიძე, დ.ტაბუცაძე, ნ.ჯობაძე, ნ.უბერი, ლ.ჟორჟოლიანი, ი.მუჩაიძე	პედიატრია	დ.ზურაბაშვილი	ფსიქოლოგია ფსიქიატრია
ნ.კინტრია, ბ. ტყეშელაშვილი, დ.გაგუა	მეან-გინეკოლოგია	ი.დოლიძე, ზ.კახაბრიშვილი, პ. კასრაძე, ზ.ფხალაძე	სპორტული მედიცინა
ირ.კვაჭაძე, რ.ბერიაშვილი, რ.ჩიხლაძე, რ.რუხაძე, ლ.კიკალიშვილი, გ.დიდგვა	ფუნდამენტური საბაზისო მედიცინა	გ.ჩახავა, რ.ღულაძე	ახალ.სპეცგანათლება
ზ.ვადაკორია, გ.ყიფიანი, გ.მენაბდე	სტომატოლოგია	ზ.ბერაშვილი, ლ.ჩოლოყაშვილი	სამედიცინო გამომცემლობა
ნ.გონაძე, ლ. კალანდარიშვილი, ლ.გაბუნია	ფარმაკოლოგია	ა.განხიძე, დ.კასრაძე (სწ. მდივანი), ირ.მანჯავიძე, დ.კორძაია	სამედიცინო ბიოეთიკა
		ლ.ჩაჩუა	სამედიცინო ექსპერტიზა
		ზ.სელაძე, გ.ჩახუნაშვილი, დ.ჩახუნაშვილი, თ.მიქელაძე, მ.ალთუნაშვილი, თ.გოგოტიშვილი, თ.მჭედლიშვილი, გ.გარეველაძე, ქ.ნეფარიძე, მ. ნანობაშვილი, ი. ფაღავე, დ. რამიშვილი, ნ. მარინაშვილი	მეცნიერები 35 წლამდე

- Chairman - Dr. Paata Kervalishvili
 Members:
 I.Cicishvili
 N.Aleksidze
 G.Salaridze
 S.Tvalchrelidze (secretary)
 G.Aleksidze
 K.Nakhchrishvili
 I.Dolidze
 S.Kenchadze
 T.Natadze
 L.Mkhdzhe
 V.Tozashvili
 H.Meladze
 V.Kandelaki
 Z.Joxhadze
 K.Ckhadze
 G.Sikharulidze
 T. Sikharulidze
 Raymond Seltz
 Euroscience association, France



კვების საერთაშორისო დღე

2011 წლის 13 სექტემბერი 14:00 სთ.

კონფერენცია „ჯანსაღი კვება ჯანმრთელობის საწინააღმდეგო რგანიზატორი: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუმარ-ტური თვითმმართველობა ევროპის მემიკოს სტუმრანთა ასოციაცია (EMSA)



კონფერენციის მიზანი:

- საზოგადოების ინფორმირება ჯანსაღი კვების შესახებ
- საკვები პროდუქტების უსაფრთხოება.
- ეკოლოგიურად ჯანსაღი პროდუქტის პროპაგანდა

- ბავშვთა და მოზარდთა კვება (პროფ. ივანე ჩხაიძე, ქეთი ნემსაძე)
- უსაფრთხო საკვები პროდუქტები (გია მიქაძე, სურსათის ეროვნული სააგენტო)
- კვების პოლიტიკა და კონსმდებლობა. (ქეთევან ლა-

ფერაშვილი სურსათის უვნებლობისა და რისკის ანალიზის სამმართველოს უფროსი)

- უსაფრთხო კვება სკოლაში. სპორტსმენ (პროფ. გიორგი ჩახუნაშვილი)
- ჯანსაღი კვება, ჯანმრთე-



ლი სიცოცხლე. (პროფ. მარინა გიორგობიანი)

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ეკოლოგიურად სუფთა ქართული პროდუქტების გამოფენა. სხვადასხვა კომპანიები წარმოადგინეს საკუთარი ნაწარმის პრეზენტაცია.

კონფერენციის მიმდინარეობა:

პროექტი განხორციელდა 13 ოქტომბერს 2 საათზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის დარბაზში, სადაც განხილული იქნა შემდეგი თემები:



The tremendous number of heart system disease in adults takes their beginning from children and adolescents age and risk factors of heart system disease are formatting at children and adolescents age.

Infection has taken important place among classical risk factors of atherosclerosis and ischemic heart disease; though the main reason of atherogenic process and lipid disorder is cholesterol. At the same time during atherosclerosis and ischemic heart disease persisted infection play a very important role, and among them with high frequency are distinguished the following defiant, as Chlamydia pneumonia, family of herpes viruses also toxoplasmosis family of enteroviruses, helicobacter pylori and others. They are considered as potential defiant of atherosclerosis and ischemic heart disease.

Last ten years events, and mainly August 2008 war, taken part in Georgia made considerable influence on children illnesses. During this time has been increased the number of children mortality and it reached it is high levels. At the present time the number of mortality among children is swaying between 15 to 25 occasions in every 1000 birth. It is obvious that nowadays the illnesses among the children like atherosclerosis, cardio sclerosis, ischemic heart disease, myocardial infarction have become quite frequent.

საერთაშორისო ფორუმზე

2011 წლის 27 ოქტომბერს პოლოტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია – „თანამედროვე ტექნოლოგიები მედიცინაში“, რომლის საორგანიზაციო კომიტეტისა და შრომათა კრებულის რედაქციის წევრი გახლდათ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, აკადემიკოსი გ. ჩახუნაშვილი. გთავაზობთ მისი საინტერესო მოხსენების აბსტრაქტს:

INTELLIGENT COMPUTING TECHNIQUES FOR STATISTICAL ANALYZE OF ATHEROSCLEROSIS AND ISCHEMIC HEART DESESES INCHILDREN AND ADOLESCENTS

P. KERVALISHVILI^{1,2,3}, G. CHAKHUNASHVILI³, B. MEPARISHVILI¹, M. KHACHIDZE²

¹⁾ GTU, ²⁾ TSU³⁾ TSMU, Centre of Frontier Bio-Medical Technologies,

ABSTRACT

At the present time the lack of information about virus pathogens during heart system disease, and holding the prevention measures in this direction makes obvious the importance of making a relevant precise research work and modern Information Technologies based effective expert system which will control and manage the cardio vascular disease treatment and prevention.

The one of the main tasks is creation of the concept of non communicable diseases monitoring system, which is the core issue for

new paradigm – development of information technology methods and tools based control systems. These are possible only by using the intelligent techniques, decision support systems, which can transform large amounts of quantitative data into intelligible classifications.

Elaborated expert system very accelerates the decision making process for all stages of medical care as well as its reliability and complex ability.

In connection with cardio vascular high-risk disease the necessary two stage diagnostic system was build: measurement, general monitoring illness parameters, ascertain the risk factors of atherosclerosis and ischemic heart disease, studding the outlets of correlation with lipid status of infected patients children and adolescents having ischemic heart disease and atherosclerosis (first stage), and detailed monitoring and control instruments for process parameters and mechanisms estimation (second stage).





ცნობები საქმით ბიოგრაფიულად

1950 წელს დაამთავრა თბილისის 24-ე ვაჟთა საშუალო სკოლა;

1956 წელს დაასრულა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი;

1957-58 წლებში მუშაობდა კლინიკურ ორდინატორად სამედიცინო ინსტიტუტის პედატრიული, სანიტარულ-ჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების საფაკულტეტო თერაპიის კათედრაზე;

1958-59 წლებში მე-4 კლინიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ორდინატორია; 1959-70 წლებში ამავე კათედრის ასისტენტი;

1965 წელს დაიცვა საკანდიტატო დისერტაცია;

1970-89 წლებში აღნიშნული კათედრის დოცენტი;

1988 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში;

1989-94 წლებში მუშაობდა პედატრიული ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა კათედრის პროფესორად;

1991-92 წლებში თსს-ის ინტერნატურისა და საწარმოო პრაქტიკის დეკანი;

1994-2001 წლებში შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკისა და თერაპიის კათედრის გამგე, 2001 წლიდან 2006 წლამდე ამავე კათედრის პროფესორია;

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო-პედაგოგიური საბჭოს, პედატრიულ ფაკულტეტის კლინიკური და ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოების წევრია;

1992 წლიდან არის თსს-უს

ციკლობრივი მეთოდოპიისის თავმჯდომარე და ცენტრალური მეთოდოპიისის წევრი; 1990 წლიდან გასტროენტეროლოგიური და ინტერნისტთა გამგეობის წევრი;

1995 წელს იგი აირჩიეს სა-

ქართველოს პრეზიდენტის და სახელმწიფო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრ-აკადემიკოსად;

გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი შრომა, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის

გამოსცა „შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკა და თერაპიის“ სახელმძღვანელო, სამედიცინო კოლეჯის მოსწავლეებისთვის – სახელმძღვანელო „შინაგანი სნეულებანი და მედიის მოვალეობა“;

ბატონ მაქას რეაქცია ულოცავს 80 წელს



2003 წელს დაბადებიდან 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“;

ცნობები სპორტული ბიოგრაფიულად

1948 წელს იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის;

1951 წელს გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სამედიცინო ინსტიტუტებს შორის I საგაზაფხულო სპარტაკიადაზე;

1950-59 წლებში გახდა თბილისის „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა გუნდის წევრი;

1952 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი;

1953-54 წლებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი;

1952-59 წლებში არის ზამთრის თამაშების სსრკ ჩემპიონი და პრიზიორი;

1951-59 წლებში მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული;

1954-55 წლებში იყო საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი;

მრავალი საერთაშორისო შეხვედრის მონაწილე და გამარჯვებული: ბულგარეთის, ჩი-



ნეთის, საფრანგეთის „ასკელის“, ეგვიპტის და სირიის ტურნირის (1954 წ.), ჩეხოსლოვაკიის, თურქეთის „გალათასარაი“, აშშ-ის ნაკრებთან, ავღანეთის განათლების სამინისტროს ნაკრებთან, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების „დინამოს“ გუნდებს შორის შეჯიბრში უნგრეთის გუნდთან „ჩეკელი“ (1957 წ.).

1954 წელს მანიჭეს საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება.



ქალბატონი მანანას ღირსეული 60 წელი



დაიბადა 1952 წლის 5 აპრილს ქ. დონეცკში (მამა – ავთანდილ ჭიპაშვილი, უკრაინაში ცნობილი მასტმშენებელი გახლდათ). თბილისში დაბრუნდით 16 წლის შემდეგ, სადაც 1968 წელს ოქროს მედლით დაამთავრე 35-ე საშუალო სკოლა, 1974 წელს კი ასევე წარინებით თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. სწავლა გააგრძელე თსუ-ს კლინიკურ ორდინატურაში ფსიქიატრიის კათედრაზე, სადაც დავინტერესდი ფსიქიკური დაავადებების მექანიზმების შესახებ. ორდინატურის დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი ჯანდაცვის სამინისტროში და პარალელურად დავიწყე მუშაობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინ-

სტიტუტის ბიოლოგიის, პარაზიტოლოგიისა და გენეტიკის კათედრაზე. ვარ მედიცინის აკად. დოქტორი და 2 წინის ავტორი, ერთ-ერთი 2 წლის წინ გამოქვეყნებული "სამედიცინო გენეტიკა" ექიშებისა და ექთნებისათვის. გავლილი მაქვს სპეციალური ტრენინგები/დახვეწებები კურსები თბილისში და მოსკოვის I სამედიცინო ინსტიტუტში. ამჟამად ვმუშაობ თსუ-ს მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტში. სულ გამოქვეყნებული მაქვს 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

ჩემი მეუღლე – ვიქტორ მოროშინი გახლდათ ცნობილი ექიმი პედიატრი-გენეტიკოსი, რომელმაც ქართულ მედიცინაში ორი ახალი მიმართულება და-

აფუძნა – სამედიცინო გენეტიკა და სოციალური პედიატრია.

ჩემი შვილები: ნინო – ექიმი, ამჟამად მუშაობს მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის რეგიონულ ოფისში, კურირებს ჯანდაცვისა და სოციალურ სექტორებს.

სოფო – საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტია, მუშაობს ქვეყანაში გაეროს ბავშვთა ფონდში (UNICEF), ბავშვთა დაცვის და კვების დეპარტამენტში. 2008–2012 წწ. გახლდათ UNICEF-ის ევროპისა და აზიის ქვეყნების თანამშრომელთა ომბუდსმენი. დამთავრებული აქვს აშშ-ის კორნელის უნივერსიტეტის დოქტურანტურა.

60 წელზე მეტი მისაბაკი საექიმო მოღვაწეობით

(რედაქცია უსურვებს ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას)

ბობიაშვილი მარბარიტა ბებლარის ასული, მედიცინის დოქტორი, სპეციალიზაცია – ანესთეზიოლოგია (სახ. სერტიფიკატი №012854)

სპეციალიზაცია – კრიტიკული მედიცინა, ინტენსიური თერაპია (სახ. სერტიფიკატი № 084629), ასევე ქირურგია – I კატეგორია

2007 – 2010 – გადაუდებელი მედიცინის ცენტრის ანესთეზიოლოგიის დეპარტამენტის ექიმი – ანესთეზიოლოგი;

1973 – 2006.09 – კონკურსით თსუ ანესთეზიოლოგიის და კრიტიკული მედიცინის კათედრის ასისტენტი (კათედრის დარსებების დღიდან);

1958 – 2006 – რცკს ექიმი – ქირურგია, 1962 წლიდან – ანესთეზიოლოგი-რეანიმატოლოგი;

1954 – 1958 წწ. – კონკურსით თსსი პოსპიტალური ქირურგიის კათედრის კლინიკური ორდინატორი;

1953.12 – 1954.09 – საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსი ინსპექტორი;

1952 – 1954 – თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ბავშვთა ქირურგიული კლინიკის ექიმი – ორდინატორი;

1951 – 1952 – თერჯოლის რაიონსავადმყოფოს ექიმი – ქირურგი;

1945 – 1951 – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი;

• სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ქირურგიის ინსტიტუტი, ქ. ბრატისლავა

1970.16.06 – დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდი-

ხალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ქ. მოსამედიში, ცენტრალური პოსპიტალის ანესთეზიოლოგია – რეანიმატოლოგიის სამსახურის უფროსი;

მეცნიერო-პრაქტიკული საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი, გამგეობის წევრი 2006 წლამდე;



1974 წ. ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის კათედრის ასისტენტები მარგო გოგიაშვილი და ნათელა ქებაძე

1962 წლიდან – სხვადასხვა დროს საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური კონფერენციების მონაწილე ანესთეზიოლოგია – რეანიმატოლოგიის დარგში, როგორც მომხსენებელი, ორგანიზატორის წევრი, სარედაქციო კოლეგიის წევრი;

ანესთეზიოლოგია – რეანიმატოლოგიის საკავშირო და რესპუბლიკური საზო-

116 სამეცნიერო ნაშრომი – ძირითადი თემატიკა: ფილტვის ხელოვნური ვენტილაცია და მისი გართულებები; გადაუდებელი ანესთეზიოლოგია; ანესთეზიოლოგია გერიატრიაში; სედაციის პრობლემა ანესთეზიოლოგიაში (სედუქსენი, კეტანოლი, პროპოფოლი, დორმიკუმი); თანაავტორი სახელმძღვანელო "რეანიმაცია – ანესთეზიოლოგია", HI ნაწ. ქართულ ენაზე, თბილისი, 1985 წ. (რედ. შ. მაჭავარიანი), თავები – ზოგადი ანესთეზია ნეიროქირურგიაში, უროლოგიაში, ოფტალმოლოგიაში;



1973 წლიდან – თსუ კათედრის ასისტენტის თანამდებობაზე ყოფნისას მომზადებულია 60-ზე მეტი ინტერნი, 7 რეზიდენტი, რესპუბლიკის მთავარი სპეციალისტი, პროფესორი ნოდარ ლებანიძე, ნ. ყიფშიძის სახ. გადაუდებელი მედიცინის ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები (კ. ბუცხრიკიძე, ლ. ვაშაქიძე, ლ. სუხიაშვილი, მ. ბერიაშვილი, ვ. კალიანი, ლ. ფირცხალავა და სხვ.) და პრაქტიკულად მთელი ანესთეზიოლოგიური სამსახური;

მეუღლე – ბობიაშვილი ევტიხი პონსტანტინენა ძი (გარდაიცვალა 1993 წ.)

შვილები: ბობიაშვილი ლიანა ევტიხის ასული – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ბობიაშვილი ბიორბი ევტიხის ძი – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;



1975 წ. რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ეზოში, აკად. ნეფოვსკის და აკად. გურგინის ვიზიტი. ანესთეზიოლოგიის კათედრისა და სარედაქციო თანამშრომლები: პროფ. შ. მაჭავარიანი, დოცენტები: ს. ლაზარიშვილი, გ. ჩახუნაშვილი, ნ. ქებაძე, მ. გოგიაშვილი, ზ. ხელაძე.

დატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (თსსი);

1979 – 1980 წწ. მუშაობა საზღვარგარეთ – ანგოლის სა-

გაღივების გამგეობის წევრი 1990 წლამდე;

საქართველოს ანესთეზიოლოგია – რეანიმატოლოგია სა-

ექიმთა უწყვეტი განათლების კურსისთვის მომზადებულია 3 მოდული (15 კრედიტ/სთ);

ჯილდოები:

- გ. მუხაძის სახელობის საპატიო მედალი (1974 წ.)
- ანგოლის სახ. ჯილდო – ავოსტინო ნეტოს მედალი (1980 წ.)

ანგოლაში საბჭოთა კავშირის საელჩოს საპატიო სიგელი (1980 წ.) (**ქალბატონ მარგარიტა გოგიაშვილს რედაქცია უსურვებს ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მას ასეთი დაუზოგავი შრომისათვის.**)



აკად. კერისთავის იუბილე, ქირურგიის ინსტიტუტი. დოც. პეტრე ჩუბინიძე, პროფ. თინა სირია, დოც. ეთერი ბაკურაძე, თამარ ლომიძე, მარგო გოგიაშვილი.



1979წ. ანგოლის სახალხო რესპუბლიკა, ქ. მოსამედიში პოსპიტალის კოლექტივი.



სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საქართველოს საპატრიარქოს თანადგომით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში: ზუგდიდი, ხულო, ხელვაჩაური, ქედა, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ინგირი, მარნეულის, ლენტეხის, დმანისის რაიონებში – ჩატარდა საქველმოქმედო აქციები, სადაც გაისინჯა, შესაბამისი კვალიფიციური სამედიცინო კონსულტაცია გაენია და მედიკამენტები დაურიგდა 5600 ბავშვს და 1000-ზე მეტ მოზარდს.



საქველმოქმედო აქცია მარნეულში 19.II.2005 ♡ – 10.V.2008 ♡



საქველმოქმედო აქცია ლენტეხში 10.X.2005 ♡



2006 წლის 20 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პატრონაჟით საგარეო საქმეთა მინისტრის მეუღლის ქალბატონ ოლიგო ბეჟუაშვილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწის ლიკა დოლიძის ხელშეწყობით თსსუ გ. უვანიას პედიატრიულ კლინიკაში გაისინჯა და შესაბამისი კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები ჩატარდა საგურამოს ასობით დაავადებულ ბავშვთა პანსიონატის 28 ბავშვს 9-10 ივნისს კასპში ივანე ჯავახიშვილის 110 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში გაისინჯა 250-მდე ბავშვი. ოქტომბერ-ნოემბრის თვეში თსსუ გ. უვანიას პედიატრიულ კლინიკაში მოწყობილ აქციებში (ლიკა კარის დღეები: მხატვართა კავშირის, ვეტერანთა დეპარტამენტის, პრესისა და ტელევიზიის თანამშრომელთა ბავშვები) გაისინჯა 700-მდე ბავშვი.



2006 წლის 1 ივლისს საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტის მიერ ცხინვალის რეგიონში ორგანიზებულ აქციაში თსსუ გ. უვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის ეპიდემიის მიერ (კლინიკის დირექტორი დოც. დ. ფრუიკა, პროფ. ი. ციციშვილი, პროფ. გ. ჩახუნავილი, ეპიდემიკი: მ. იოსელიანი, თ. მიქაელაძე, ვ. მაღაშინია, მ. ნაწობაშვილი, ზ. ზარნაძე, ქ. ნაწობაძე, გ. არვალაძე) გაისინჯა და შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაენია 500-მდე ბავშვს. 2006-2007 წლებში თსსუ გ. უვანიას სახელობის პედიატრიულ კლინიკაში სხვადასხვა საქველმოქმედო აქციაში გაისინჯა 2000-მდე ბავშვი.



საქველმოქმედო აქცია ყვარელში, რომელიც მიეძღვნა დიდი ძაბრთველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის საქართველოს სულიერი მამის, ილია ჭავჭავაძის დაბადების 170 წლისთავს. 9.06.2007



საქველმოქმედო აქცია რუსთავსა და სამტრედიასში



საქველმოქმედო აქციები მარნეულებში, დუშეთში და ახაშენში



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე 2008 წლის 2 ივნისს მოეწყო ბავშვთა კარავი (Teddy Veuz Hospital), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა.



საქველმოქმედო აქცია ქაქუცოვაძე 2008



საქველმოქმედო აქცია ხაზუგუში 2009



საქველმოქმედო აქცია ბარისახო 2009



საქველმოქმედო აქცია კალატუბურთა ბასინჯვა 2010




საქველმოქმედო აქცია კარაღეთი 2010



საქველმოქმედო აქცია ომის მონაწილეთა ოჯახებისა და ჯიბა კეთილმსახური მეფე თამარის სკოლა პანსიონის ბავშვები (დუბანოზი მირიან სამხარაძე) ბასინჯვა 2010



2010 წლის დია კარის დღე 04.XII სკოტგმენებთან



2011 წლის 1 ივნისს

კონფერენციის ორგანიზატორებსა და აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით ბავშვთა დაცვის დღეს მიეძღვნა ბავშვთა საქველმოქმედო კონსულტაციები, რომელიც ჩატარდა ბავშვთა ახალ კლინიკაში და გაისინჯა 200-მდე ბავშვი. აგრეთვე მოეწყო აფხაზეთიდან აფხაზ ბავშვთა ნამუშევრების ნახატების გამოფენა და მათ გადაეცათ სერტიფიკატები.




საქველმოქმედო აქცია 24.12.2012. ბავშვთა ახალ კლინიკაში (ბაისინჯა 200-ზე მეტი ბავშვი)



ბახსენება

პროფესორი ალექსი ხოჭავაძე



სამწუხაროდ, ალექსის სიცოცხლის პერიოდში ასევე ნაადრევად მოაკლდა ახალგაზრდა დის შვილი - აქსენტი ნაჭყებია (რომელიც დაიღუპა აფხაზეთის ომში და სიცოცხლეში დაჯილდოვებულია მხედრული მამაცობის მედლით, ხოლო გარდაცვალებული...



დაიბადა საქართველოში 1927 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ როგორც წარჩინებული მოსწავლე მიიღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა 1948 წელს. განაწილებით მოხვდა ბელორუსიაში, სადაც მუშაობდა რამდენიმე წელი. ჩაირიცხა მოსკოვში ასპირანტურაში ექიმთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში ინფექციურ სნეულებათა კათედრაზე 1951 წელს. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და განაწილებით კვლავ მოხვდა მინსკში, სადაც მოღვაწეობდა ასისტენტად სამედიცინო ინსტიტუტში ინფექციურ სნეულებათა კათედრაზე.



საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მიერ 1957 წელს მივლინებული იყო რუსეთში ქ. ჩიტაში სამედიცინო ინსტიტუტის ინფექციურ სნეულებათა კათედრის დასაარსებლად.

1964 წელს ბელორუსიაში ქ. გროდნოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში დააარსა ინფექციურ სნეულებათა კათედრა და გაზარდა ინფექციონისტების არაერთი თაობა. 1970 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია რის შედეგადაც მიიღო პროფესორის წოდება.

1978 წელს დაბრუნდა საქართველოში და რეორგანიზაცია მოახდინა ბავშვთა ინფექციურ სნეულებათა...



თა კათედრაზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სადაც 8 წელი დაჰყო უნივერსიტეტის სამკურნალო დარგში პრორექტორის როლში.

ალექსი ხოჭავაძე მოამზადა 3 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და 25 მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. აქვს 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. გამოსცა არაერთი მონოგრაფია და სამედიცინო სახელმძღვანელო.

1978 წელს სამშობლოს სიყვარულმა უკან დააბრუნა სადაც ის განაგრძობდა უმწიკვლო მოღვაწეობას.

იგი იყო მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიკო-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი, დაჯილდოვებულია ღირსების ორდენითა და შეტანილია ბელორუსიის ენციკლოპედიაში, როგორც ბელორუსიის დამსახურებული მეცნიერი.

ალექსის ბაბუა იყო ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი.

მშობლები: მარია და ილარიონ ხოჭავაძეები, ონამჩირეში დამსახურებული, ორდენოსანი პედაგოგები.

ჯამში იყვნენ 4 დედამიწვილი. ალექსის ჩათვლით, და (ტატანა) და ძმა (ოთარი) აღარ არიან ამჟვეყნად. ერთადერთი უფროსი ძმა დარჩა ცოცხალი - შოთა, ფილოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის დამსახურებული პედაგოგი, პოეტი, მწერალთა კავშირის წევრი, აკადემიკოსი (91 წლის).

ბის მერე კი გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერის წოდებით). მეორე დის შვილი, რომელიც ცოტახნის წინ გარდაიცვალა - ჯემალ ხოჭავაძე.


მეუღლე - ეთერი გვილავა, ექიმი გინეკოლოგი, მისი თანმდგომი და ცხოვრების მეგობარი

შვილი - მანანა ხოჭავაძე შვილიშვილები - თამუნა და მაიკო შუკაკიმეები, მათი მეუღლეები - გიორგი დემურია და მიხეილ ჯილაური.

შვილთაშვილები - ანა და ნუცა.



საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია
Georgian Children's Cardiologists Association



SOS!

დროულად ავიცილოთ თავიდან კარდიალური რისკი ახალბავშვებსა და მოზარდებს

საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის სარეკომენდაციო ბარათი:

ბავშვთა და მოზარდთა პრევენციული კარდიოლოგიის განვითარებისათვის აუცილებელია თითოეული ოჯახისათვის გათვითცნობიერებული იყოს უქიმის გარდა, მათი პირადი პასუხისმგებლობა, რაც მდგომარეობს შემდეგში: სასურველია წელიწადში ერთჯერ ბავშვისთვის მინიმუმ ელექტროკარდიოგრაფიული (ე.კ.გ.) გამოკვლევა (მითუმეტეს თუ ოჯახში დატვირთული ანაზნეზია: გულის იშემიური დაავადება, პიპერტენზია, ათეროსკლეროზი, შაქრიანი დიაბეტი და ა.შ).

აუცილებელია - წელიწადში ორჯერ ე.კ.გ. კვლევა სტაციონარში თერაპიული თუ ქირურგიული პროფილით ნამკურნალევი ბავშვებისათვის.

აუცილებელია ტონოგრაფიის 2,5 თვის შემდეგ კვლევა გულსისხლძარღვთა სისტემის მხრივ, კარდიოლოგის კონსულტაციით და ა.შ.

შეუძლებელია ერთ სარეკომენდაციო წერილში ყველა იმ პრობლემურ საკითხებზე საუბარი, რომლის წინაშეც ჩვენ ვდგებით და ამიტომ, საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია მზადაა პასუხი გასცეს მშობელთა და არამარტო მშობელთა ყველა სასურველ შეკითხვებს.

მოდიოთ ერთად ეხმარეთ ჩვენს მომავალზე.

კეთილი სურვილებით,
საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი გ. ჩახუნაშვილი

თუ თქვენს შვილს ან შვილიშვილს არაფერი ანუხავს ნუ შიშვართავთ ბავშვთა ახალ კლინიკას !!!

ბავშვთა ახალი კლინიკა
სასწრაფოდ, თბილისში, ლიუბლიანის 21-ში!

24 საათიანი სერვისი
თანამედროვე აპარატურა
ბალისტიკური კაბინები

მთავარი რედაქტორი: გ. ჩახუნაშვილი
მოადგილე: თ. მიქელაძე
სარედაქციო საბჭო: - ნ. მარინაშვილი, გ. არველაძე, ნ. ბაღრაშვილი, ნ. თოფურაძე, დ. ჩახუნაშვილი, გ. ჩახუნაშვილი, ქ. ნუგარიძე, ბ. ზენაიშვილი, ნ. კვიციანი, კ. ჩახუნაშვილი.

მისამართი: ლუბლიანის ქ. 21
ტელ.: 47-04-01
www.sppf.info

გასაყიდად არ გაგრცელებს
ISSN 1987-9849
UDC (უ.კ.) 616-053.2(054) ს-743